წერილის ნომერი: **18-01211122799**
თარიღი: **22/04/2021**
პინი: **9731**

ადრესატი: რევაზ სულავა
პირადი ნომერი: 01024080499
მისამართი: ქ.თბილისი, თაყაიშვილის ქ.8ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N 19/01211092844-18
განცხადების თარიღი:	19 აპრილი, 2021
განმცხადებელი:	რევაზ სულავა
მისამართი	ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა #13ლ/ქ. თბილისი, ქუჩა თამარაშვილი #13
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.16.004.258
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	თზუ-ოუ ჩენგ
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა მწვანე ნარგავ(ებ)ის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა მინდობილობა ტოპო.გეგმა
დასკვნა:	
ინფორმაციული	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილების №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ 21-ე მუხლი, 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი, დადგენილების 27^4-ე მუხლი.

სამსახურის პოზიცია

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარუდგინოთ, უფლებამოსილი პირის მიერ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა; ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო შენობის განთავსების სქემით, რომელზეც დატანილია მწვანე ნარგავები საექსპერტო დასკვნით მინიჭებული ნუმერაციის მიხედვით, მითითებულია 3-მეტრიანი მანძილები მწვანე ნარგავებსა და ასაშენებელ შენობას/ნაგებობას შორის და აღნიშნულია მოსაჭრელად/გადასარგავად მოთხოვნილი მწვანე ნარგავები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას შენობა-ნაგებობის განთავსება ხდება მწვანე ნარგავებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახური ერთიანი წარმოების ფარგლებში იმსჯელებს მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს:

მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღს, ადგილსა (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველს;

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობასა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობას;

კვლევის ჩატარების მეთოდს;

ინფორმაციას მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის დიამეტრისა (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველ ფოტომასალას;

დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევის ამსახველ დოკუმენტს, დასაბუთება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული მწვანე ნარგავი გამოჯანმრთელებას;

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაცია მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მანანა ელბაქიძე

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი
უფლებამოსილი ფიზიკური პირი/ექსპერტი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა #176

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი, 2020

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა თამარაშვილი, №13

ობიექტის საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.258

ობიექტის მესაკუთრე: თზუ-იუ ჩენგ

საფუძველი: დამკვეთის მომართვა ობიექტზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე.

შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა: 22

კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური და ტაქსონომეტრიული გაზომვები.

საკვლევი ობიექტის ფართობი: 600 მ^2 .

რელიეფი: ვაკე.

საექსპერტო დასკვნას თან ახლავს **არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.**

#	მცენარის ქართული და ლათინური სახელწოდებები	სასიცოცხ-ლო ფორმა	დიამეტრი ფესვის ყელიდან 10 სმ სიმაღლეზე (სმ)	სიმაღლე მ H	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1.	აღმოსავლური ჭადარი Platanus orientalis	ხე	76	18	ჯანსაღი	გადარგვას არ ექვემდებარება
2.	მაკლურა Maclura aurantiaca	ხე	63	14	გადაბერებული, ფუტურო	გადარგვას არ ექვემდებარება. მოჭრა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით.
3.	პრიალა კვიდო Ligustrum lucidum	ხე	25	14	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
4.	თუთა Morus alba	ხე	61	10	გადაბერებული, ფუტურო	გადარგვას არ ექვემდებარება. მოჭრა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით.
5.	ჰიმალაის კედარი Cedrus deodara	ხე	63	22	ჯანსაღი	გადარგვას არ ექვემდებარება. მოჭრა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის

						სამსახურის სპეციალური ნებართვით.
6.	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე	45	12	ზეხმელი	მოსაჭრელი
7.	ბოკვი Acer velutinum	ხე	17	10	ჯანსაღი	ჯგუფი, 15 ძირი. დასაშვებია გადარგვა.
8.	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე	57	12	ზეხმელი	მოსაჭრელი
9.	თუთა Morus alba	ხე	23	9	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა.
10.	ელდარის ფიჭვი Pinus eldarica	ხე	68	13	ზეხმელი	მოსაჭრელი
11.	კავკასიური აკაკი Celtis caucasica	ხე	10-14	7,5	ჯანსაღი, მრავალ-ღეროიანი	დასაშვებია გადარგვა.
12.	პრიალა კვიდო Ligustrum lucidum	ხე	25	8	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა.
13.	პრიალა კვიდო Ligustrum lucidum	ხე	34	9	ჯანსაღი	დიდტანიანი ხე. გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით.
14.	რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე Robinia pseudoacacia	ხე	4	3	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
15.	რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე Robinia pseudoacacia	ხე	8	8	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
16.	რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე Robinia pseudoacacia	ხე	15	გადაჭრილი 1,6 მ სიმაღლეზე	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
17.	კანადური ვერხვი Populus Canadensis (P.deltoides)	ხე	4	3	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
18.	ბოკვი Acer velutinum	ხე	4	2,5	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
19.	პატარა თელადუმა Ulmus minor	ხე	7	3,5	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა
20.	თუთა Morus alba	ხე	10-23	12	ჯანსაღი, მრავალ-ღეროიანი	დასაშვებია გადარგვა
21.	თუთა Morus alba	ხე	8 15 16	9	ჯანსაღი, სამღერო-იანი	დასაშვებია გადარგვა
22.	ტყემალი Prunus divaricata	ხე	14	8	ჯანსაღი	დასაშვებია გადარგვა ან მოჭრა

ხარისხობრივად შეფასებული 22 მწვანე ნარგავიდან:

9 ძირი მიეკუთვნება **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეებს**

№4 თუთა - Morus alba

№6 ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica

№8 ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica
№9 თუთა - Morus alba
№10 ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica
№11 კავკასიური აკაკი - Celtis caucasica
№19 პატარა თელადუმა - Ulmus minor
№20 თუთა - Morus alba
№21 თუთა - Morus alba

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **მაღალი ღირებულების ჯგუფის** მცენარეების მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

1 ძირი მიეკუთვნება **მარადმწვანე წიწვოვანი ჯგუფის მცენარეებს**

№5 ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **მარადმწვანე წიწვოვანი ჯგუფის** მცენარეების მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

11 ძირი მიეკუთვნება **დაბალი ღირებულების ჯგუფის მცენარეებს**

№1 აღმოსავლური ჭადარი - Platanus orientalis
№2 მაკლურა – Maclura aurantiaca
№3 პრიალა კვიდო - Ligustrum lucidum
№7 ბოკვი - Acer velutinum
№12 პრიალა კვიდო - Ligustrum lucidum
№13 პრიალა კვიდო - Ligustrum lucidum
№14 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე - Robinia pseudoacacia
№15 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე - Robinia pseudoacacia
№16 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე - Robinia pseudoacacia
№17 კანადური ვერხვი = Populus Canadensis (P.deltoides)
№18 ბოკვი - Acer velutinum

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **დაბალი ღირებულების ჯგუფის** მცენარეების მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

1 ძირი მიეკუთვნება **ხილ-კენკროვანი ჯგუფის მცენარეებს:**

№1 ტყემალი - Prunus divaricata

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **ხილ-კენკროვანი ჯგუფის** მცენარეების მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

გარდა ზემოთ აღწერილი მწვანე ნარგავებისა, საკვლევ ტერიტორიაზე აღინიშნება სხვადასხვა სახეობების მიმდინარე წლის მცირე ზომის თვითნათესი.

მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია და შემდგომი მოვლა

გადარგვა ხორციელდება არასავეგეტაციო პერიოდში, გვიან შემოდგომას, ან ზამთრის მიწურულს და ადრე გაზაფხულზე, წვენის ჩადგომამდე და კვირტების დაბერვამდე. ამ პერიოდში მცენარე ყველაზე ნაკლებმგრძნობიარეა გარეგანი ფაქტორების მიმართ

მცენარე აუცილებლად მიწის კოშტით (კომით) უნდა გადაირგოს. ის ამოღებულ უნდა იქნას იმ მიწის მასასთან ერთად, რომელშიც იზრდება. ამასთან აუცილებელია კომის მინიმალური დასაშვები ზომების დაცვა, რათა არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება.

კომის ზომებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კანონზომიერებებით სარგებლობა: კომის დიამეტრი 10-ჯერ უნდა აღემატებოდეს 0,2 მ სიმაღლეზე ხის დიამეტრს. კომის სიმაღლე დამოკიდებულია ფესვთა სისტემის კომპაქტურობაზე. თუ გადარგვისას მცენარე დაკარგავს ფესვების 20-25%-ზე მეტს, მას გადარჩენის შანსი საგრძნობლად უმცირდება. ხოლო თუ წიწვოვან მცენარეს ფესვთა სისტემა გაუშიშვლდა, მისი გახარება შეუძლებელი გახდება. ის ხეები, რომლებმაც გადარგვისას ფესვების ნაწილი დაკარგეს, საკმაოდ დიდხანს ავადმყოფობენ. მათი ნაზარდი პირველ წელს შეიძლება მხოლოდ 5-10 სმ-ის ფარგლებში იყოს, მომდევნო წელს - ცოტა მეტი. ამ დროს მათი მოვლისადმი წაყენებული მოთხოვნები იზრდება: საჭირო ხდება უფრო ხშირი რწყვა და შესხურება, რაც თავის მხრივ ზრდის სოკოვანი დაავადებების წარმოშობის ალბათობას.

სარგავი ორმო მინიმუმ 30-35 სმ-ით უნდა აღემატებოდეს კომს. ეს სივრცე საჭიროა წინასწარ მომზადებული მიწის ნაზავის ჩასაყრელად. ღეროსა და ტოტებზე ჭრილობები მუშავდება ბაღის მალამოთი. ხე რომ ახალ ადგილს უკეთ შეეგუოს, საჭიროა საფუძვლიანი გასხვლა.

დიდი ზომის წიწვოვანი მცენარეების გადარგვისას აუცილებელია ისეთივე სივრცითი ორიენტაციის დაცვა (ჩრდილოეთი-სამხრეთი), როგორიც მას ჰქონდა პირვანდელ ადგილზე,

დიდი ზომის ხეების ამოღება და ჩარგვა ხორციელდება სპეციალური ტექნიკით, ამწის გამოყენებით.

აქტიური ვეგეტაციისა და ყვავილობის დროს არაა სასურველი 3 მ-ზე მაღალი წიწვოვნების და 4 მ-ზე მაღალი ფოთლოვნების გადარგვა.

გადარგვის შემდეგ აუცილებელია მცენარის საგულდაგულო მოვლა: პირველ რიგში უხვი და რეგულარული რწყვა, ფესვთა სისტემის ზრდის სტიმულიატორით დამუშავება და დამატებითი კვება.

ამოღებულ მცენარეებზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები: გამოშრობა, მზის დასხივება, მექანიკური დაზიანება, ფიზიოლოგიურად მნიშვნელოვანი ფესვების ნაწილის დაკარგვა, რის შედეგადაც ირღვევა თანაფარდობა „ფესვთა სისტემა - მიწისზედა ნაწილი“, რაც იწვევს წყლის ბალანსის ცვლილებას და მცენარის ფიზიოლოგიური სტაბილურობის შეცვლას.

სარგავ ორმოებს ამზადებენ 6-10 დღით ადრე. ორმოს კედლები და ფსკერი გულდასმით სწორდება და სუფთავდება. ფსკერი ფხვიერდება 15-20 სმ სიღრმეზე, იყრება ნოყიერი ნაზავი 10-25 სმ სისქეზე. დასარგავი მცენარის ცენტრირებისათვის ორმოს ცენტრი ინიშნება პატარა პალოთი.

ნოყიერი მიწა წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი. მისი რაოდენობა დამოკიდებულია არსებული გრუნტის შემადგენლობაზე. უნაყოფო გრუნტი 100%-თ უნდა განახლდეს. მისი მოცულობა უდრის სარგავი ორმოს მოცულობას მინუს კომის მოცულობა. კეთდება ხრეშის დრენაჟის ფენა 20-25 სმ-ზე.

სარგავი ორმოს მომზადების შემდეგ იზომება ორმოს პარამეტრები და ფესვის ყელის სიმაღლე, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მიწის დაჯდომის ფაქტორიც.

მცენარის ორმოში მოთავსების შემდეგ ორმო თანდათანობით ივსება გრუნტით: მიწა ჯერ კომის ქვეშ იტკეპნება, შემდეგ კი თანდათანობით ზემოთ იმგვარად, რომ ცარიელი ადგილები არ დარჩეს. ხის გამაგრებისას უნდა მოხდეს სპეციალური ვერტიკალური სადრენაჟე არხების ფორმირება, რომლებიც მომავალში ხის ფესვებს ჰაერითა და ტენით უზრუნველყოფენ.

ამის შემდეგ მცენარე მაგრდება სპეციალური დამჭიმებით. მათი მოხსნა შესაძლებელი იქნება 2-3 წლის შემდეგ, როცა მიწა მთლიანად დაჯდება და ფესვები მთლიანად შეეზრდება გარემო ნიადაგს. დროდადრო შეიძლება საჭირო გახდეს დამჭიმებისთვის ადგილის მონაცვლება,

ღეროს გარშემო ყრიან მულჩს. რწყვა უნდა ჩატარდეს 4-5 დღეში ერთხელ. ამისთვის საუკეთესო დროა დილა - 11 საათამდე და საღამო -6 საათის შემდეგ, ხოლო წყლის ტემპერატურა 15-20^0.

ახალ ადგილთან შესაგუებლად აუცილებელია ზრდის ბიოსტიმულატორების (ჰეტეროაუქსინი, კორნევინი, ჰერბამინი, ბიოპლექსი) გამოყენება - ეს ხელს უწყობს მცენარის სწრაფ აკლიმატიზაციას და ფესვების ახალი მასის წარმოქმნას.

ჯამების გაფხვიერება და მულჩირება გამოიყენება ნიადაგის აერაციის გასაუმჯობესებლად. ამ დროს ჟანგბადი უკეთ აღწევს ფესვთა სისტემამდე.

ფოთლოვანი მცენარეების გადარგვის პირველ წელს აუცილებელია სანიტარული სხვლა, რომელიც სეზონის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს, რადგან ცალკეული ტოტების ხმობა აღინიშნება მთელი წლის განმავლობაში.

შემსრულებელი,

ექსპერტი მანანა ელბაქიძე

პ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№1 აღმოსავლური ჭადარი

Platanus orientalis



№2 მაკლურა

Maclura aurantiaca



№3 პრიალა კვიდო
Ligustrum lucidum



№4 თუთა

Morus alba



№5 ჰიმალაის კედარი

Cedrus deodara



№6 ელდარის ფიჭვი
Pinus eldarica



№7 ბოკვი
Acer velutinum



№8 ელდარის ფიჭვი
Pinus eldarica



№9 თუთა

Morus alba



№10 ელდარის ფიჭვი
Pinus eldarica



№11კავკასიური აკაკი
Celtis caucasica



№12 პრიალა კვიდო
Ligustrum lucidum



№13 პრიალა კვიდო
Ligustrum lucidum



№14 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე
Robinia pseudoacacia



№15 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე
Robinia pseudoacacia



№16 რობინია, ცრუაკაცია, ეკლის ხე
Robinia pseudoacacia



№17 კანადური ვერხვი
Populus canadensis (P.deltoides)



№18 ბოკვი

Acer velutinum



№19 პატარა თელადუმა
Ulmus minor



№20 თუთა

Morus alba



№21თუთა

Morus alba



№22 ტყემალი

Prunus divaricata

